საქმის № 330210318002541171 (2/20996-18)

5352534376349

www.info.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

გაკოტრების თაობაზე მომრიგებელი საბჭოს გადაწვეტილების დამტკიცების შესახებ

06 აგვისტო, 2019 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ანა ჩოგოვაძე

მოვალე - შპს „ლაველლო“ (ს/კ 405088266)
წარმომადგენლები - ინგა თხილავა
კრედიტორი - სსიპ შემოსავლების სამსახური
წარმომადგენელი - სალომე გულოშვილი
მეურვე - სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო
წარმომადგენელი - ქრისტინე კუბლაშვილი
მომრიგებელი საბჭოს წევრები - 1 - ფიქრია კოღუაშვილი
2 - ნანა პერტაია
3 - მირიან პერტიაშვილი

მოთხოვნა - მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილების დამტკიცება

სასამართლომ კრედიტორთა კრებაზე განიხილა გაკოტრების თაობაზე მომრიგებელი საბჭოს გადაწვეტილების დამტკიცების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განხილვაშია შპს „ლაველლოს“ გადახდისუუნარობის საქმე.

2019 წლის 06 აგვისტოს კრედიტორთა კრებაზე განხილული იქნა მომრიგებელთა საბჭოს გადაწყვეტილება შპს „ლაველლოს“ მიმართ გაკოტრების

საქმის წარმოების დაწყების შესახებ.

სასამართლო გაეცნო საქმეში არსებულ მასალებს, მოუსმინა კრედიტორის მოსაზრებას, მიიჩნია, რომ მომრიგებელი საბჭოს წევრების გადაწყვეტილება მოვალე შპს „ლაველლოს“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს.

,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მომრიგებელი საბჭო უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: ა) გაკოტრების შესახებ; ბ) რეაბილიტაციის შესახებ; გ) გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

აღნიშნული კანონის 32-ე მუხლის მე-8 ნაწილის მიხედით, მომრიგებელი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. მომრიგებლებს უფლება არა აქვთ თავი შეიკავონ ხმის მიცემისაგან. მოცემულ შემთხვევაში, მომრიგებელმა საბჭომ ხმათა უმრავლესობით (ერთხმად) მიიღო გადაწყვეტილება შპს „ლაველლოს“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შესახებ.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს კანონის ,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ” მე-7, მე-8, 27-ე, 32-ე, 33-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-284-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. დამტკიცდეს 2019 წლის 05 ივნისის მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილება მოვალე შპს „ლაველლოს“ (ს/კ 405088266) მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შესახებ;

2. სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს დაევალოს განჩინების გამოქვეყნება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს ვებგვერდზე. განჩინება ასევე გამოქვეყნდეს სასამართლოს დაფაზე და სასამართლოს ვებგვერდზე.

3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ან გადაცემიდან 5 დღის ვადაში კერძო საჩივრით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

მოსამართლე **ანა ჩოგოვაძე**

LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
Digitally signed by LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
DN: cn=LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA, 2.5.4.97=NTRGE-203862622, o=, c=GE
Date: 2019.08.14 11:09:33 +04'00'